

სპერი კავკასიის მხარის საგზაო რუკაზე

ფალავა მამია

<https://orcid.org/0009-0004-0884-1493>

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.37>

ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის - „სპერი, - ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ (FR-23-6916) (დამფინანსებელი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) ფარგლებში.

აბსტრაქტი. სპერი საქართველოს ისტორიული კუთხეა ჭოროხის სათავეებში, რომლის შემადგენლობაში ივარაუდება ბასიანი//ფასიანი და ბაიბურთიც. სპერის ქვეყანა 1514 წლიდან ოსმალეთის (შემდეგ თურქეთის) სახელმწიფოს შემადგენლობაშია. სპერელებმა განვლილი ხუთი საუკუნის განმავლობაში განიცადეს ასიმილაცია, დაივიწყეს წინაპართა ენა. აღვნიშნავთ, რომ ისტორიული სპერი (ტაოსთან, კლარჯეთთან, შავშეთთან ერთად) კულტურათა დიალოგის ასპარეზი იყო. აქ ერთმანეთს ხვდებოდა ქართული, ბერძნული, სომხური, მოგვიანებით ოსმალური (თურქული) კულტურები. დიალოგი იყო მკაცრი და დაუნდობელი, რისი შედეგები მიიმედ აისახა სპერელთა ყოფაზე...

საისტორიო წყაროებმა მწირი ცნობები შეინახა სპერის ქვეყნის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ისტორიული წარსულის აღსადგენად უპირატესობა ენიჭება ტოპონიმებს, „მიწის ენას“. ტოპონიმები მოგვითხრობენ ამ მიწაზე მცხოვრები ხალხის/ხალხების ყოფაზე, ნაციონალურ იდენტობაზე... სპერის მკვლევრისათვის მნიშვნელოვანია ყველა წყარო, რომელსაც დაუცავს კუთხის გეოგრაფიული სახელები.

ნაშრომში საუბარია „კავკასიის მხარის საგზაო რუკაზე“ (1903 წელი) დატანილ სპერის ტოპონიმიაზე. მოცემულია გეოგრაფიულ სახელთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი. გამოვლენილია ზოგიერთი სტრუქტურული ცვლილება, ნებისთ თუ უნებლიეთ სახელს რომ განუცდია ჩაწერისა თუ ინფორმაციის მიწოდებისას. მკვლევარი ცდილობს, აღადგინოს ტოპონიმის თავდაპირველი სახე. გამოვლინდა, რომ ტოპონიმთა უმეტესი ნაწილი ქართული/ქართველურია, მცირეა არაქართული გეოგრაფიული სახელები.

სტრუქტურულად სპერის ტოპონიმია აგრძელებს ჭოროხის ხეობის ტოპონიმთა წარმოების თავისებურებებს, ერთი განსხვავებით, აქ გვხვდება მხოლოდ გეოგრაფიულ სახელთა სუფიქსური წარმოება. ფუძის საწარმოებლად სხვადასხვა სიხშირით შემდეგი სუფიქსები დასტურდება: -ნ, -არ/-ალ, -ურ/-ულ, -ის, -ხ(ი), -იკ, -ოთ, -უთ, -ეთ. მათ გვერდით არაქართული ბოლოსართები: -ჩი/-ჯი (თურქული) და ც (სომხური). დადასტურდა -შენ ფუძიანი გეოგრაფიული სახელები, ასევე სომხური სორ/ძორ (შდრ.: ქართული ხევი) ელემენტები ფუძეები. საგზაო რუკაზე დატანილ გეოგრაფიულ სახელთა ანალიზი დასტურია, რომ სპერი ქართული ქვეყანაა.

საკვანძო სიტყვები: სპერი, საგზაო რუკა, ტოპონიმია, ჭოროხის ხეობა, გეოგრაფიული სახელები

ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა მწირი ინფორმაცია შეინახა საქართველოს განაპირა მხარეების, მათ შორის სპერის შესახებ. ამიტომაც ჭოროხის აუზში (ასევე მტკვრის აუზში) ქართული ქვეყნების მკვლევრისათვის ფასეულია ნებისმიერი

ინფორმაცია რომელიც დაუცავს მოგზაურთა ჩანაწერებს, ისტორიკოსთა შრომებს თუ ძველ რუკებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი ისტორიული ქართული ქვეყნის მკვიდრებმა, მათ შორის სპერელებმაც, დაივიწყეს წინაპართა ენა, რასაც მოჰყვა ისტორიული მეხსიერების წყვეტა, წარსულის დავიწყება. თუ გავიხსენებთ, რომ 1514 წლიდან სპერი ოსმალეთის მმართველობაში მოექცა, ამჟამად კი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია, ეს არცაა მოულოდნელი. ასეთ პირობებში ძველი ტოპონიმია არის ერთ-ერთი (თუ ერთად-ერთი არა) უტყუარი წყარო ისტორიული სურათის აღსადგენად. „მიწის ენა“ მოგვითხრობს სპერის მოსახლეობაზე, მის ეთნიკურ შედგენილობაზე, გვაწვდის ინფორმაციას დავიწყებული სპერული დიალექტის ზოგიერთ მახასიათებელზე... თუმცა თავს იჩენს კიდევ ერთი წინააღმდეგობა, კერძოდ, თანამედროვე სპერელებს ნაკლებად ახსოვთ ძველი გეოგრაფიული სახელები. უმეტესად მათ იციან ადგილის რეფორმის შემდგომი (1959) სახელები. სპერის ტოპონიმია დაუცავს ძველ რუკებს, მათ შორისაა „კავკასიის მხარის საგზაო რუკა“¹¹, რომელზეც დატანილია სპერის 130-მდე გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება, რამდენიმე ათეული კიდევ - ბაიბურთისა (შევნიშნავთ, რომ სპერი ფართო მნიშვნელობით მოიცავდა საკუთრივ სპერს, ბაიბურთსა და ბასიანს). ქვეყნის ტოპონიმის შესასწავლად მკვლევრისთვის ეს ძვირფასი მასალაა.

აღვნიშნავთ, რომ „საგზაო რუკა“ 1903 წლით თარიღდება. მასზე დატანილი კარტოგრაფიული მასალა გაცილებით ადრე უნდა იყოს შეკრებილი. ჩანს, ამ დროისათვის გეოგრაფიული პუნქტების ნაწილს უკვე შეცვლილი ჰქონდა სახელები, რამდენადაც რუკაზე თურქული ტოპონიმებიცაა დატანილი. და ეს არცაა მოულოდნელი, რუკის შედგენამდე ხომ თითქმის ოთხი საუკუნეა გასული, რაც სპერი (ფართო მნიშვნელობით) ოსმალეთი გამგებლობაშია. ოსმალური მმართველობის კვალი გეოგრაფიულ სახელებსაც დაეტყო.

სტატიაში მასალა დავალაგეთ უბნებად, მკითხველისათვის უფრო ნათელი რომ იყოს გეოგრაფიული პუნქტის მდებარეობა. ათვლის წერტილად მცირე ქალაქი სპერი (ახლა - ისპირი) ავიღეთ.

ა. ისპირს ქვემოთ ჭოროხის მარცხენა სანაპირო

ეგპერიკ'ი (?)

კაბან'ი (კაბა-წ'ი. კაბე', კაბი საკუთარი სახელია კოლხური (იხ. ღლონტი, 1986). კაბანი<*კაბენი ასიმილაციით). კაბანი ადგილია, სადაც კაბას<*კაბეს ჩამომავლები სახლობენ.

კარა-ბარმიჩ'ი (?)

ლაკუბარ'ი (ტაოში ლაკობარი გვხვდება). იქნებ -არ სუფიქსი გამოიყოს ტოპონიმში (ლაკუბ-არ), მაშინ ლაკუბარი წარმომავლობის სსახელი იქნება (შდრ.: ოლთისარი, უჩხითარი...), რომელიც ტოპონიმად გამოუყენებიათ.

მახურგურ'ი (გვხვდება მუხურგულიც. რეგრესული დისიმილაციით მიღებული ფორმაა მახურგური. ალბათ ჩაწერის ლაფსუსია, თორემ მოსალოდნელი იყო მახურგული: რ - რ>რ - ლ პროგრესული დისიმილაციით. ტოპონიმი ქართული ჩანს - ურ/-ულ სუფიქსით ნაწარმოები).

პეტეჟრეკ'ი (?)

ტაპცორ'ი (<*ტაბძორ'ი, -ძორ (ხევი, წყალი) ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია).

¹¹ *Дорожная Карта Кавказского Края*, Составлена и Литографирована в Военно-топографическом Отдела Кавказского Округа 1903 г. Тифлисъ.

ტაპცორი<**ტაბცორი**//**ტაბძორი**’საგან, პირველი ნაწილი ქართული **ტაბ**//**ტობ** უნდა იყოს (შდრ.: **ტბის ხევი**).

ხუნუთ’ი (**ხუნ-უთ**’ ტოპონიმი ქართული ჩანს, წარმოებით მაინც, -**უთ** სუფიქსითაა ნაწარმოები. ვიტყვით, რომ -**უთ** სუფიქსიანი წარმოება სპერში უფრო მომრავლებულია, ვიდრე ჭოროხის სხვა ქვეყნებში). **ხუნ**’ ფუძე ჩანს ტოპონიმში **ხუნ-ევ**’ი (სოფელი სურამის ქედის გადმოდმა, ასახელებს ა. შანიძე. იხ. შანიძე, 1981:440) ყურადღებას მივაქცევ კიდევ ერთ ფაქტს, ისპირს ქვემოთ ჭოროხის მარცხენა სანაპირო შედარებით ნაკლებადაა დასახლებული, ეს საგზაო რუკაზე დატანილი გეოგრაფიული სახელებიდანაც ჩანს.

ბ. ისპირს ქვემოთ ჭოროხის მარჯვენა სანაპირო

აგეკ’ი (?)

არაბ-კენდი, შდრ.: არაბის ქალაქი. **არაბა**//**არაბ**’ი საკუთარი სახელი დაუცავს გვარებს: არაბიძე, არაბული... (მაისურაძე, 1090:22).

აღაჩ-ქილისა შდრ.: ხის ეკლესია. **აღაჩ-ქილისა** ქართული **ხის ეკლესიის** თარგმანი ჩანს.

ახორჯიკი (ახორჯიქი?), - გამოიყოფა **ჯიკ**//**ჯიქ** ელემენტი (მაწარმოებელი), აღნიშნავს მცირეს, პატარას. შდრ.: ქართული **იკ**, **უკ** სუფიქსი. ახორჯიკი იგივეა, რაც პატარა ახორი.

ბახტიგანს’ი<**ბახტიგანის**’ი(?). ვფიქრობთ, უნდა აღდგეს ფორმა **ვახტანგისი**’, წარმოთქმისა თუ ჩაწერის პრობლემასთან გვაქვს საქმე.

ბახჩა - არაერთგზის ვისაუბრეთ ამ სახელზე, ნასესხებია სპარსულიდან, უფრო ადრე, ვიდრე თურქეთის სახელმწიფო ჩამოყალიბდებოდა ჩვენს მეზობლად... სახელი ხუთჯერ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ (სიმფონია, 1956).

ბახჩა-ვანქ’ი - უნდა **ბახჩა ვანი**, გეოგრაფიულ სახელზე ზეწოლის შედეგია.

ბუზ-დუგანც’ი(?)

გოი (?)

გუზგუნ’ი (?)

ეგნეს’ი - (<*ეგნე-ის’ი>ეგნესი), -**ის** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი ჩანს. აღვნიშნავთ, რომ ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში -**ის** სუფიქსიანი წარმოება ძველ ფენად ითვლება და შედარებით მცირეა. სპერის ტოპონიმიაში საკმაოდ ხშირია -ის სუფიქსიანი წარმოება. **ეგნე** (<*ეგნა) ანთროპონიმი დასტურდება ქართულ კულტურაში (იხ. ღლონტი, 1986). ეგნესი<*ეგნესი ქართული გეოგრაფიული სახელია.

ეკეკი (ექექი?).

ენი-კეი (<*ენი-ქეი<*ენი ქოი? შდრ.: ახალი სოფელი).

ვარჩინი (*ვარჩინი<*ვარშენი. **ვარი** მეტსახელი გვხვდება მეგრულში (ღლონტი, 1986).

ზინაგორ’ი (წინაგორი?) - კომპოზიტია: **წინა-გორი**. გეოგრაფიული სახელი ქართულია. ჩაწერის პრობლემაა.

ინჯე-სუ, შდრ.: ინჯის წყალი.

კავაქ-თეფე - შდრ.: ალვის ქედი.

კაზან-დაღ’ი შდრ.: თ. Kazan ქვაბი. **ქვაბის** (გამოქვაბულის) **მთის** პირდაპირი თარგმანი ჩანს.

კაზინს’ი <*კაზინის’ი. **კაზინა**’ კოლხურ სინამდვილეში საკუთარი სახელია (ღლონტი, 1986).

კამპორ’ი <*კამპარი (რეგრესული დისიმილაციით). კამპარი მცენარეა, იგივეა, რაც

ჯონჯოლი (იხ. მაყაშვილი, 1991).

კანატორ'ი -**ცორ**//**-ძორ** (მდრ.: ქართული ხევი) სომხურია, საძიებელია კანატ' სახელური ფუძის მნიშვნელობა. **კანათ** (თ. Kanat) თურქულია, მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა მიწიქვეშა არხი, წყალსადენი (იხ. ლექსიკონი, 2001).

კარგონს'ი (<***კარგო-ნ-ის**'ი), **-ის** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი ჩანს. კარგო' მამაკაცის საკუთარი სახელია ქართულ კულტურაში (ღლონტი, 1986).

კარგონი **კარგო**'ს ჩამომავლობაა, **კარგონისი** კიდევ მათი კუთვნილი.

კარმერიკ'ი (იქნებ **კარმელიკი**, ჩაწერის პრობლემა ჩანს. თუ ასეა **კარმელი** წარმომავლობის სახელია, **-ელ** სუფიქსით ნაწარმოები, **-იკ** კიდევ ქართული კნინობითობის სუფიქსი). ტოპონიმი ქართული უნდა იყოს.

კეგიკი (?).

კოუნც'ი (?), ვფიქრობთ, ჩაწერის ლაფსუსია, უნდა **კონცი**<**კონსი** <**კონ**[ა]სი <**კონა**[ი]ს'ი. **კოუნცი** გეოგრაფიულ სახელზე ზეწილის ფაქტია. **კონა** საკუთარი სახელია, დასტურდება „ტბეთის სულთა მატთანეში (იხ. მატთანე, 1977:227); **კონა**'ს კნინობითი ფორმა უნდა იყოს **კონია**, კოლხეთშია გავრცელებული, დაუცავს გვარს **კონიაშვილი** (ღლონტი, 1986). **კოუნცი** ქართული სახელია სხვადა ქცეული.

კრანს'ი (<***კრან-ის**'ი (<**კრან**[ა]-ის'ი), **-ის** სუფიქსით ნაწარმოები სახელია. **კრანა** იქნებ მეტსახელია, დაუცავს გვარს **კრანაძე**.

კუგვანს'ი (<***კუგვან-ის**'ი, **-ის** სუფიქსით ნაწარმოები სახელია. დასაშვებია **-ნ** სუფიქსის გამოყოფა **კუგვან**' სახელურ ფუძეში (**კუგვა-ნ**). **კუგვა**'ს ჩამომავლების (კუგვანი) კუთვნილია **კუგვანისი**).

მაკისორ'ი იქნებ, **მაკი**[ს]ხევი. **მაკი** იცის მეგრულმა, **მანკს** ნიშნავს, ავადმყოფობას (ქობალია, 2010).

მოხურშენ'ი - გეოგრაფიულ სახელში გამოვყოფთ **შენ**' ელემენტს. **მოხურ**<***მუხურ**'ი საკუთარი სახელი ჩანს. ქართულ კულტურაში გვხვდება **მუხულა**, **მუხურია** საკუთარი სახელები, იქნებ, მეტსახელები. საყურადღებოა, რომ ორივე სახელი კოლხეთში დასტურდება (იხ. ღლონტი, 1986).

მუმანს'ი (<***მუმან-ის**'ი, **-ის** სუფიქსით ნაწარმოები სახელია. **მუმა** საკუთარი სახელი ან მეტსახელი უნდა იყოს, **-ნ** კიდევს მრავლობითობის სუფიქსი. **მუმანი** - **მუმას** ჩამომავლები).

ნარშინ'ი <***ნარშენი**? თუ ასეა, ტოპონიმი **-შენ** ფუძიანია, **ნარ**' კიდევ საკუთარი სახელი უნდა იყოს. კოლხურში დასტურდება საკუთარი სახელი **ნარი** (იხ. ღლონტი, 1986).

ნორშინ'ი<***ნორშენ**'ი, **-შენ** ფუძიანი გეოგრაფიული სახელია. **ნორ**<***ნორე** შ'ს ჩავარდნით. საბოლოოდ აღდგება ტოპონიმი **ნორეშენი**, რომლის ფონეტიკური გარდაქმნით (<**ნორეშენი**>**ნორეშენი**>**ნორშენი**) მივიღეთ **ნორშინი**.

ნარშინი (*<ნარშენი) და **ნორშინი** (<*ნორშენი) ქართული გეოგრაფიული სახელებია.

ოშნაგ'ი (ოშნაკ?) იქნებ, **ოშკზე** ზეწოლის ცდაა?

პოჩინც'ი (?).

ტანზუთ'ი - აღნიშნული ფუძის შესახებ სხვაგანაც ვსაუბრობთ. ტოპონიმში გამოვყოფთ **-უთ** სუფიქსს და **ტანზ**<***ტანძ**' სახელურ ფუძეს. გეოგრაფიული სახელი ქართულია.

ტენხა - სახელურ ფუძეში გამოვყოფთ **-ხა** სუფიქსს, იმავს, **კოლხა**'სა და **ტაოხ**'ში რომ გვხვდება.

ჩან-ტაკერ'ი (<***ჭანტაკერ**'ი<***ჭანთაკერ**'ი) ცუდად ჩაწერილი **ჭანთაკერი** უნდა იყოს. ტოპონიმი კომპოზიტია, - **ჭანთა** - **კერ**'ი.სახელის პირველი ნაწილი (ჭანთა) გასაგებია, რაც შეეხება მეორეს, **კერ**'ი: **კერი** ლაზურში იხმარება **გარეული ღორის**

მნიშვნელობით (თანდილავა, 2013), ხოლო მეგრულში - **კერატი, ტახი** (ქობალია, 2010). აღვნიშნავთ, რომ მეგრულში **ჭანი'** სხვა მნიშვნელობითაც იხმარება: სქესობრივად სუსტი, უმემკვიდრეო... (ქობალია, 2010)...

ვეფქრობთ, გეოგრაფიული სახელი ქართულია.

ჩატაკ' (ჩათაქი//ჩათახი) - ამოსავალი უნდა იყოს **ჩათახი**, რომელშიც გამოვეყოფთ - **ხ(ი)** სუფიქსს. **ჩათახ'** **ჩათა'**ს შვილს (მკვიდრს) უნდა ნიშნავდეს.

ჩიფთლიკ' (?) - თურქული უნდა იყოს (შდრ.: სპ. çift ჩიფთი - წყვილი).

ჩუვანგერ' (<***ჩუვანგორი**//**ჭუვანგორ'**//**ჯუვანგორ'**? თუ ასეა, ტოპონიმი ქართული ჩანს).

ხაჯინსი (<***ხაჯი-ნ-ის'**. **ხაჯ'** ფუძე გამოიყოფა კოლხურ ანთროპონიმში **ხაჯი, ხაჯიხანი**. იხ. ლლონტი, 1986).

ხიშნი დაიყოფა: **ხიშ-ნ'** (<***ხიშა-ნ'**). **ხიშ**//**ხიშა** იქნებ მეტსახელია კაცისა.

ხოსპერიკ' (<***ხოსპერიკი**?- უნდა გამოიყოს კნინობითობის -**იკ** სუფიქსი: **ხოსპერიკ'**).

გ. ისპირს ზემოთ ჭოროხის მარცხენა ნაპირი

აბრანცი (<***აბრანსი**<***აბრან[ი]ს'**) ტოპონიმი დაიყოფა: **აბრა-ნ-[ი]ს'**. **აბრა** ანთროპონიმია, გვხვდება კოლხეთში (ლლონტი, 1986). **აბრანი აბრა**'ს ჩამომავლობაა, **აბრანისი** - კიდევ მათი საკუთრება. **აბრანცი** ტოპონიმზე ზეწოლის ნიმუშია. **აბრანცი** ქართული/ქართველური გეოგრაფიული სახელია.

ავდოსი (<***ავდო-[ი]ს'**? -ის სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია).

ალეგანც' <***ალეგანს'**<**ალეგან[ი]სი** დაიშლება: **ალეგა-ნ-[ი]ს'**. **ალეგანი ალეგა**'ს სახლელია, **ალეგანისი** - მათი კუთვნილი. **ალეგა** ანთროპონიმი ჩანს.

ალეგანცი<**ალეგანისი** ქართული გეოგრაფიული სახელია, სხვად ქცეული.

ანგერტი (<***ანკერტი**<***ანაკერტი**. ტოპონიმში გამოიყოფა **კერტ'** ფუძე)

ანგეჯიკი (<***ანგეჯიქი**), კომპოზიტია: **ანგე+ჯიქ'**. **ჯიქ'** თურქულია, აღნიშნავს მცირე, პატარა.

ბალახორი კომპოზიტია: **ბალ-ახორი**. **ახორი** სპარსულია, ქართულ ენაში ადრე შემოსული. ძველ ქართულში გვხვდება **ახორი**: „შევალს **ახორსა** მათსა და აღჰქნის კარაულსა მათსა“ (მ.ცხ. 107v. ვუთითებთ: აბულაძე, 1973)„ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ამილახორი (<***ამირახორი**): „ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია“ (სიმფონია, 1956). საძიებელია **ბალ'** ფუძის მნიშვნელობა. **ბალა'** საკუთარი სახელია, დასტურდება ჭოროხის ხეობაში, სხვაგანაც. **ბალახორი** უნდა მომდინარეობდეს **ბალასახორი**'საგან. ტოპონიმი ქართულია.

ბელქეა (?), იქნებ **ბელქოა** არის, ცუდად ჩაწერილი?

გეილეკი (<***გეილექი**?).

გელ-მაილა (<***[მ]გელ-მაილა**. სამხრულ კილოებში სიტყვის თავკუდურა **მ**'ს დაკარგვა გავრცელებული მოვლენაა: მთა>თა... ჩანს, იმავე პოზიციაში **მ'** იკარგებოდა სპერულ დიალექტშიც. გელ-მაილა იგივე **მგელ-მაილაა**. კომპოზიტის პირველი ნახევარი ქართულია.

გონდოლოთი - დაიშლება: **გონდოლ-ოთ'**. გეოგრაფიულ სახელში გამოვეყოფთ -**ოთ** სუფიქსს, რომელიც ნ. მარს ქართული -**ეთ'**ის დიალექტურ ვარიანტად მიაჩნია. ს. ჯანაშიას სუფიქსის „დიალექტურ ვარიანტად ჩათვლა უმართებულოდ მიაჩნია, მისი აზრით, ყველა „შემთხვევაში ერთ სუფიქსთან გვაქვს საქმე“ (გულისხმობს თ, -ეთ, -ათ, -ით, -უთ, -ოთ ბოლოსართებს - ავტ.) (იხ. ზურაბიშვილი, 1961:144). ჯერ-ჯერობით ჩვენთვის ცნობილი არაა **გონდოლ'** სახელური ფუძის მნიშვნელობა. იქნებ,

მეტსახელი იყოს კაცისა.

გორგორი - ფუძის გაორკეცებით მიღებული სახელია: გორ+გორ. ტოპონიმი ქართული ჩანს.

ერკენისი დაიყოფა: **ერკენ-ის'ი**. -ის სუფიქსით ნაწარმოები სახელია. **ერკენ<*ერკინ'**ისაგან. საბას განმარტებული აქვს ერკინა: „რკენა უყო“ (ორბელიანი, 1949). **ერკენისი** სარკინებელი ადგილია. შეიძლება სხვაგვარი მსჯელობაც: **ერკენ<*ერკელ'**ისაგან. აჭარულში დასტურდება **ერკელია** „ცვალებადი ამინდი - ამ წუთას წვიმს და მოულოდნელად გამოანათებს, გადაიღებს“ (ნიჭარაძე, 1971), იგივეა, რაც აჭარული **ტურაქორწილა** და თუშური **დარღურბელაყი** (ხუბუტია, 1969).

ერკენისი<*ერკელისი ადგილია, სადაც ცვალებადი ამინდები იცის.

ვანქ'ი(?) - ვანსა და ვანქს შორის ერთი ბგერაა სხვაობა და ორი ენა.

ვინშენი - გამოვყოფთ **შენ'** ელემენტს, რაც მიგვანიშნებს, რომ გეოგრაფიული სახელი ქართულია. საინტერესოა **ვინ'** ფუძის მნიშვნელობა, კერძოდ, აქვს კი მას გარდა ცნობილი მნიშვნელობისა (კითხვითი ნაცვალსახელი) სხვა დატვირთვა? ქართულ ანთროპონიმიაში გვხვდება სახელები: ვინაგი, ვინგელი, ვინელი, ვინორი (ღლონტი, 1986). ხომ არაა ვინშენში შემავალი **ვინ'** რომელიმე მათგანის შემოკლებული ვარიანტი?

თარგედი(?)

კადმირ'ი(?)

კადრაკი - ტოპონიმში გამოვყოფთ -აკ კნინობითობის სუფიქსს, **კადრ[ა]** სახელური ფუძეა. წარმოებით გეოგრაფიული სახელი ქართულია.

კარა-კავურ'ი - სახელი რუკაზე დატანილია დეფისით (-), ვფიქრობთ, ერთად უნდა დაიწეროს (კარაკავური); ტოპონიმში გამოვყოფთ -ურ(//-ულ) სუფიქსს, რომელიც წარმომავლობის სახელებს აწარმოებს. **კარაკავ'ი** გეოგრაფიული პუნქტი უნდა იყოს, საიდანაც მოსულის კუთვნილია **კარაკავური**. წარმომავლობის სახელი ქვეულა ტოპონიმად.

კაუნცი(?)

კენდის'ი (<*ქენდისი) -ის სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია, **კენდ'** ფუძეა, რომლის მნიშვნელობა საძიებელია.

კიან'ი (<*ქიანი<*ქვიან'ი?. ფუძეში ვ'ს დაკარგვითა და კ:ქ მონაცვლეობით მიღებული).

კირდასორ'ი - **სორ'** ხევის აღმნიშვნელი სომხური ფუძეა. **კირდა<კირთა'**საგან. ძველ ქართულში **კირთ'**ის ერთი მნიშვნელობაა **მონა, ყმა, მსახური** (აბულაძე, 1973).

კირდასორი ქართული **კირთისხევის** გასომხურების ცდა გვგონია.

კირზი (<*კირზა? მცენარეა, იგივეა, რაც: **კენკეშა, მუკუდო, ძოწია, მუყუდო, დონდოლო**, მგრ. **ჭურია**, სვ. **ტვიც, კიც**. *Campanula laktiflora* (მაყაშვილი, 1991).

კირზი<*კირზა ადგილია, სადაც დასახელებული მცენარე ხარობს. აღვნიშნავთ, რომ მცენარეული ფუძე მხოლოდითის ფორმით იშვიათია ქართულ ტოპონიმიაში, იხმარება მრ. ფორმა: წიფლები, ალვები... წაბლანა, ვაშლოვანი... ბარემ აღვნიშნავთ, რომ ლაზურში გვხვდება **კირზა**, ა. თანდილავა არ განმარტავს მას, გვაგზავნის **კორზა'**სთან. ეს უკანასკნელი ორი მნიშვნელობით იხმარება: ა. სიმინდის ტარო; ბ. ლაფერა (თანდილავა, 2013).

კირზა' მცენარე იქნება თუ ლაფერა, იგი ქართული//ქართველური სახელია.

კოურცი(?)

კოჯუხპორ'ი - ტოპონიმი კომპოზიტი გვგონია: **კოჯუხ-პორ'**ი, იქნებ **კოჯუხ-ფორი**. **ფორი** ცნობილი ფუძეა ქართულში, **მოედანს** ნიშნავს (ორბელიანი, 1949). **კოჯუხი** სახელური ფუძეა, რომელშიც გამოვყოფთ **უხ'** სუფიქსს. **კოჯა** ანთროპონიმია

ქართული (დლონტი, 1986).

კოჯუხპორი<**კოჯუხფორი** ქართული გეოგრაფიული სახელია.

მაზრია სხვაგანაც შეგვხვედრია ამ დასახელების გეოგრაფიული სახელი, კერძოდ, ტაოში. **მაზრია**ში უნდა გამოიყოს -ა' სუფიქსი (**აკვანა**'სა და მსგავს ფუძეებში რომ გამოიყოფა). საძიებელია **მაზრ'** ფუძის მნიშვნელობა. აგებულებით ტოპონიმი ქართულია.

ნახინდერე - კომპოზიტია: **ნახინ-დერე**. **დერე** იგივეა, რაც ქართული ხევი, მშრალი ხევი, ხეობა, ხრამი, ღრანტე... (იხ. ლექსიკონი, 2001). **ნახინდერე** თურქული სახელი ჩანს.

ნიფი (?).

ორცორ' (<***ორწვერ'**, ქართული გეოგრაფიული სახელია).

პანიკი(?).

პეტრუნი (<***პეტრენი**). გეოგრაფიული სახელი დაიყოფა: **პეტრენ-ნ'**. **პეტრენი** პეტრეს ჩამომავლობაა, ტოპონიმი კიდევ მათ კუთვნილს აღნიშნავს.

სარფ-კადა (შდრ.: Sarp-kaya - სარფის კლდე).

სალანლი დაიყოფა: **სალან-ლი**. -**ლი** თურქული მრავლობითობის სუფიქსია.

სემკერი (?)

ტულუ-ოღლი (აილა) - მეტსახელი გვარია ადგილის სახელად ქცეული. გეოგრაფიული სახელი ქართველურია.

ქეშიშ-კაა (<ქეშიშ-ქაა) შდრ.: მღვდლის კლდე.

ჩაპანს (მთა), **ჩაპანს** - სოფელი: ორ გეოგრაფიულ პუნქტს ერთი სახელი ქვია. **ჩაპანს**<***ჩაპანის'**, -**ის** სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმია. საძიებელია **ჩაპან'** სახელური ფუძის მნიშვნელობა. **ჩაპან'** ხომ არ არის ცუდად ჩაწერილი **კაპან'**. ეს უკანასკნელი ცნობილი ფუძეა ქართულში. **კაპანისი**//**კაპანისი** ვფიქრობთ, დასაშვები ვარიანტი უნდა იყოს **ჩაპანის'**ის.

ჩენჯული (<***ჩენჯური**), გეოგრაფიულ სახელში გამოიყოფა -**ურ**(>-**ულ**) სუფიქსი. **ჩენჯური** წარმომავლობის სახელი ჩანს ტოპონიმად ქცეული. **ჩენჯ**<***ჩენჩ'**ისაგან დისიმილაციით. ქეგლ შეტანილია **ჩენჩი** და **ჩენჩო** და განმარტებულია: „მარცვლეულის ბუდე, კანი, ნაჩენჩი, ხეჭბი“.

ხავნუსი<***ხავნუ-ის'**, -**ის** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია. **ხავნუ'** იქნებ კაცის მეტსახელია.

ხარდიში დაიშლება: **ხარდ-იშ'**. ქართულ ენათმეცნიერებაში საყურადღებო დაკვირვებებია -**იშ**//**-შ** სუფიქსიანი გეოგრაფიულ სახელებზე. „-**იშ**//**-შ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ისეთივე წარმოშობისაა, როგორც -**ის** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები: თბილისი, ურბნისი...“ (ქალდანი, 1963:67; ქირია, ეზუგბაია, მემიშიმი, ჩუხუა, 2015:195-196).

ლექსუმის ტოპონიმიაში -**იშ**//**-შ** სუფიქსიანი სახელებს ზანურ ფენად მიიჩნევენ ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1951:421) და გიორგი ჩიტაია (ჩიტაია, 1944:267). მოსაზრებას იზიარებენ მიხეილ ჩიქოვანი (ჩიქოვანი, 1949:238) და მიხეილ ალავიძე (ალავიძე, 1958:153.). მაქსიმე ქალდანის აზრით, ლექსუმში -**იშ**//**-შ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები შემოქმედი არის არა ლაზური, არამედ სვანური მოსახლეობა (ქალდანი, 1963:69).

ჩანს, -**იშ**//**-შ** სუფიქსი საერთოა კოლხური და სვანური ენებისათვის. აღნიშნული სუფიქსით ნაწარმოები სახელები გვხვდება როგორც სვანურ, ისე კოლხურ ენობრივ სივრცეში (ფალავა, თანდილავა, 2014: 123). შავიზღვისპირეთში და ჭოროხის აუზში ლაზური ფენა მოულოდნელი არაა (იხ. ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2023:179-180).

ხარდია მამაკაცის სახელია ქართულ კულტურაში (ღლონტი, 1986). **ხარდიში** იგივეა, რაც ქართული **ხარდისი**.

ხორსორ'ო <***ხარსორ'**ი (შდრ. ხარის ხევი).

ჯემილ'ი (<***ჯღმილ'**ი, სვ. ბზ. ჯიმილ, ბქ., ჯუმილ... ძმა დისტვის. თოფურია, ქალდანი, 2000). გეოგრაფიული სახელი ქართული/ქართველური ჩანს.

დ. ისპირს ზემოთ, ჭოროხის მარჯვენა ნაპირი

ბახსი <***ბახისი** -ის სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმი. ქართულ ანთროპონიმიში გვხვდება : **ბახო**, **ბახა**, **ბახუ** (ღლონტი, 1986). **ბახსი** <***ბახისი ბახას//ბახოს//ბახუს** კუთვნილია.

ბოზანი დაიყოფა: **ბოზა-ნ'**ი. **ბოზი** (თ. Boz - რუხი, ლეგა, ნისლა) იხმარება ლაზურში. **ბოზანი** ადგილია, სადაც **რუხი**, **ლეგა** ფერებია...

ემკინს'ი <***ემკენისი**, -ის სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმი.

იუნუს'ი - მამაკაცის სახელია თურქულ კულტურაში.

კარაგენ'ი <***ყარაგენ'ი** <**ყარადანი**. ეს უკანასკნელი დაიყოფა: **ყარადა-ნ'**ი (ყარადას ჩამომავლობა). მათ კუთვნილსაც იგივე სახელი უწოდეს.

კარა-კახე <***ყარა-კახა** (შდრ.: შავი კახა).

კარსორ'ი შდრ.: **კარის ხევი**, **კარის წყალი**. უფრო ეს უკანასკნელია საგულვებელი.

კენდისი დაიყოფა: **კენდ-ის'ი**, -ის სუფიქსით ნაწარმოები სახელია. **კენდი** <**კენტი**, რაც მეგრულში ნიშნავს **კეტი**, **კომბალი**. დასაშვებია, **კენდი** მეტსახელი იყოს კაცისა.

კერბეჟი(?)

კილინს'ი <***კილინ-ის'ი**. **კილინ'**ში შეიძლება გამოვყოთ -**ნ** ბოლოსართი: **კილი-ნ'**ი. **კილის** სახლელული **კილინი'**ა. ჩანს, **კილინის** საცხოვრისსაც (თუნდაც კუთვნილს) **კილინისი** უწოდეს. **კილი**, **კილა**, **კილო** საკუთარი სახელებია კოლხეთში (ღლონტი, 1986).

კილიტჩი დაიყოფა: **კილიტ-ჩი**. -**ჩი**//**-ჯი** სუფიქსებია თურქულში, ხელობის სახელს აწარმოებს. **კილიტ** (თ. Kilit ბოქლომი, საკეტი, კლიტე), **კილიტჩი** (თ. Kilitçi – კლიტის გამკეთებელი ხელოსანი. იხ. ლექსიკონი, 2001). ჩანს, **კილიტჩი** გასაღების ოსტატის საკუთრებაა. გეოგრაფიული სახელი თურქულია, შესაბამისად, - ახალი.

მეზაქერქ'ი(?)

მეზრე - მაილა, სოფელზე მცირე, სოფელზე დაქვემდებარებული მცირე დასახლება,, გამოიყენება ასევე სახნავის, ყანის, მინდვრის მნიშვნელობითაც (ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2023:497. შდრ. 2024:461; ფუტკარაძე, 1993: 502).

მუნუთ'ი დაიყოფა: **მუნ-უთ'ი**. ტოპონიმი -**უთ** სუფიქსითაა ნაწარმოები, შესაბამისად, ქართული ჩანს, წარმოებით მაინც. აღვნიშნავთ, რომ მეგრულში **მუნე**, **მუნი** იხმარება ბრუნის, სალტოს მნიშვნელობით (ქობალია, 2010).

სირთ'ი (თ. **Sirt** - ზურგი, მთა, უღელტეხილი, გორა. ფუტკარაძე, 1993; შდრ.: ლექსიკონი, 2001).

ხაგა იქნებ დაუკავშირდეს ლაზურ **ხარგა**'ს: **გროვა** (შეშის... თანდილავა, 2013). **ხარგა** > **ხაგა რ'**ს დაკარგვით. **ხაგა'** ადგილია, სადაც რაღაცის გროვაა.

ხაგა ქართული/ქართველური გეოგრაფიული სახელია.

ხანი (შდრ.: სპ. Han) **საცხენე** (თანდილავა, 2013).

ხოზაკპურ'ი დაიყოფა: **ხოზა**[კ]-**პური**. **ხოზა** <***ხოზო**'საგან დისიმილაციით. **ხოზო** „რბილი ხორბალი, უფხო და ყინტორა“ განმარტავს ა. მაყაშვილი (მაყაშვილი, 1991).

ხოზაკპური <***ხოზოკპური** ადგილია, სადაც **ხოზა** <***ხოზო**'ს თესავდნენ.

ხუნტუს'ი <***ხუნტუ-ის'ი**, -ის სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია.

კოლხურში დასტურდება საკუთარი სახელი **ხუნტულ**’ი. **ხუნტუ** და **ხუნტულ**’ი ერთი და იგივე სახელი ჩანს. **ხუნტუსი** კოლხური გეოგრაფიული სახელია.

ჯებალ’ი დაიყოფა: **ჯებ-ალ**’ი. აღნიშნულია, რომ **-ალ** (მასთან ერთად **-ოლ**) იშვიათია ქართულ ტოპონიმიაში (იხ. ზურაბიშვილი, 1961:149). **-ალ<*არ** აკაკი შანიძეს მეგრულ-ჭანურ სუფიქსად მიაჩნია (Шанидзе, 1981:24-31). **ჯებალი** წარმომავლობის სახელია, იგივეა რაც **ჯებელი**, ტოპონიმად ქცეული.

განვიხილეთ „საგზაო რუკაზე“ დატანილი სპერის გეოგრაფიული სახელები სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით. მასალა უაღრესად საინტერესოა. კვლევის პროცესში რამდენიმე შენიშვნა გაგვიჩნდა, კერძოდ:

- თვალშისაცემია, რომ რუს კარტოგრაფს უჭირს მისთვის უცხო სახელების სწორად ჩაწერა, რასაც ემატება ის სიძნელე, რასაც რუსული დამწერლობა წარმოშობს ჩაწერის პროცესში. გასათვალისწინებელია სპერელთა თურქული გამოთქმა, რომელიც ძნელად აღსაქმელია მიუზღვეველი ყურისათვის. ამიტომაც მკვლევარი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მასალას.

- სპერის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში რამდენიმე ფენა შეიძლება გამოიყოს: ქართველური (ქართული და ლაზური), სომხური და თურქული. ჭარბობს ქართველური გეოგრაფიული სახელები, რაც მნიშვნელოვანია მრავალი თვალსაზრისით. უპირველესად სპერის უძველესი მოსახლეობის ეროვნული კუთვნილების განსაზღვრისათვის.

- გამოიკვეთა საკუთარ სახელზე „ზეწოლის“ ფაქტები. ვიღაც, უფრო ინფორმატორი, ცდილობს სხვად აქციოს ტოპონიმი. ამისათვის საკმარისია, სიტყვაში ერთი ბგერის ან აფიქსის შეცვლა, ანდაც ქართული ხვევის სომხური სორ/ძორ’ით ჩანაცვლება. სახელის ფუძის ანალიზით ცხადი ხდება, რომ საქმე გვაქვს ფაქტის გაყალბებასთან...

განხილულ მასალაში ფუძის საწარმოებლად გვხვდება შემდეგი სუფიქსები: -ნ, -არ// -ალ, -ურ// -ულ, -ის, -ხ(ი), -იკ, -ოთ, -ეთ, -უთ.

არაქართული -ჩი/-ჯი, -ც ბოლოსართები.

დადასტურდა შენ’ ფუძიანი რამდენიმე სახელი, ასევე -სორ/-ძორ (შდრ.: ქართული ხვევი) ელემენტის ტოპონიმები.

ტოპონიმთა უმეტესობა ქართველურია, რაც მნიშვნელოვანი საბუთია, რომ სპერი ქართული ქვეყანაა.

ლიტერატურა:

აბულაძე, ი. (1973) ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.

ალავიძე, მ. (1958) ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი. კპი შრომები, XVIII, ქუთაისი.

ზურაბიშვილი, თ. (1961) ტოპონიმიკის შესწავლისათვის. ქესს, II: 127-158. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

თანდილავა, ა. (2013) ლაზური ლექსიკონი, თბილისი. გამომცემლობა „საარი“.

თოფურია, ვ. ქალდანი, მ. (2000) სვანური ლექსიკონი, თბილისი. გამომცემლობა „ქართული ენა“.

ლექსიკონი, (2001) თურქულ-ქართული ლექსიკონი ლია ჩლაიძის რედაქციით, სტამბული. გამომცემლობა: „Livane Matbaacilik Ltd. Şti“.

მაყაშვილი, ა. (1991) ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

ნიჟარაძე, შ. (1971) ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. ბათუმი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.

ორბელიანი, ს.ს. (1949) სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი. „საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა“.

სიმფონია, (1956) ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბილისი. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

გამომცემლობა“.

ფალავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. (2023) ქართული ენის კლარჯული დიალექტი, თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.

ფალავა, მ. თანდილავა, ლ. (2014) ლაზეთის ტოპონიმის საკითხები. იხ. ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, თბილისი. „გამომცემლობა „უნივერსალი“.

ფალავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. (2024) ქართული ენის ტაოური დიალექტი, თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.

ფუტყარაძე, შ. (1993) ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი. „აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა“.

ქალდანი, მ. (1963) ლეჩუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ/-შ სუფიქსის საკითხისათვის. ქესს, III, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

ქირია, ჯ. ეზუგბაია, ლ. მემიშიში, ო. ჩუხუა, მ. (2015) ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.

ქობალია, ა. (2010) მეგრული ლექსიკონი, თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“.

ღლონტი, ა. (1984) ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.

ღლონტი, ა. (1986) ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი. „გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ჩიტაია, გ. (1944) ლეჩუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, Xბ, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

ჩიქოვანი, მ. (1949) ტოპონიმურ სახელთა წარმოება ლეჩუმური მასალების მიხედვით. ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.

ხუბუტია, პ. (1969) თუშური კილო, ლექსიკა, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

ჯავახიშვილი, ი. (1951) ქართველი ერის ისტორია, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

Шанидзе, А. (1981) Два Чано-мингрельских суффикса в грузинском языке. тбზ. 12 ტომად, ტ. II, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

Speri in the Road Map of the Caucasus Region

Paghava Mamia

Batumi Shota Rustaveli State University, Batumi

Abstract

Speri is a historical Georgian region located at the headwaters of the Chorokhi River, within whose boundaries Basiani/Fasiani and Baiburt are also presumed to be included. Since 1514, the land of Speri has been under the dominion of the Ottoman Empire (later the Turkish state). Over the past five centuries, the people of Speri have undergone assimilation, causing them to forget their ancestral language. It is worth noting that historical Speri (together with Tao, Klarjeti, and Shavsheti) served as a site for cultural dialogue, where Georgian, Greek, Armenian, and later Ottoman (Turkish) cultures intersected. This dialogue was often harsh and unyielding, with severe repercussions for the daily lives of the Speri population...

Historical sources have preserved only scant information about the land of Speri. In such cases, the reconstruction of the historical past relies primarily on toponymy, the "language of the land." Toponyms reveal the life and national identity of the people inhabiting these lands. For the researcher of Speri, every source that has preserved the region's geographical names is of great importance.

This paper examines the toponymy of Speri as documented in the "Road Map of the Caucasus Region" (published in 1903). It presents a structural and semantic analysis of the geographical names, identifying certain structural changes that may have occurred, whether intentionally or unintentionally, during the recording or transmission of information. The researcher seeks to restore the original forms of these toponyms. It has been revealed that the majority of the

toponyms are of Georgian/Kartvelian origin, with only a few non-Georgian geographical names.

Structurally, the toponymy of Speri continues the characteristic patterns of toponym formation seen in the Chorokhi River valley, with one notable distinction: here, only suffixal formation of geographical names is encountered. For root formation, suffixes with different frequencies are attested: **-ნ**, **-არ/-ალ**, **-ურ/-ულ**, **-ის**, **-ხ(ო)**, **-იკ**, **-ოთ**, **-უთ**, **-ეთ**. Alongside them, non-Georgian suffixes are also present: **-ჩი/-ჯი** (Turkish) and **Յ** (Armenian). Geographical names formed with the **-შენ** root are attested, as well as bases containing the Armenian element **სոր/ძორ** (cf. Georgian **ხევი**). The analysis of the geographical names on the road map serves as further evidence that Speri is a Georgian land.

***Keywords:** Speri, Road Map, Toponymy, Chorokhi Valley, Geographical Names*